№ 2725
ხუთშაბათი,
13 იანვარი

# ცნობის ფურცელი

№ 2725
ხუთშაბათი,
13 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ღიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შაბათს, 15 იანვარს, სოფელ მღაროში, კარის ეკლესიაში, გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა მელანია რევაზის ასული ნაცვლიშვილისა და დანი ელისაბედ დავითის ასული ნატროშვილისა, ალექსანდრა დავითის ასული ნაცვლიშვილის მეუღლე, ანასტასია და მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი და ბარბარე დავითის ასული კნ. ვაჩნაძისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე. (2—13—2)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის გარეშე)

ხუთშაბათს, 13 იანვარს ბენეფისი ნ. შ. გაბუნია-ცაგარლისა. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

I
ჩვენი ნაცნობები
სცენები 1 მოქ. თხზ. კ. დოდაშვილისა.

II
ცოლი-ქმრის მჭეველი
დრამა 4 მოქმ. და 5 სურათ. გადმოკ. ა. ყაზბეგის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხაზინის ბილეთები ამ წარმოდგენისთვის გაუქმებულია.
მორიგი რეჟისორი: ვ. აბაშიძე.

მზადდება „რუი ბლაზი“, „მეზობლები“, „ჭრიჭინა“, „სამშობლოს ბურჯი“ და სხვა.

ყოველ კვირეული ჟურნალი

მოგზაური

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფილ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, ქ. ჯაფარიძე. ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

ერთი წლით—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ცალკე ნომერი—სამი შაური. წლიური ფასის შემოტანა, ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: მოგზაურის“ რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა № 21) და წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში ყარამან ნანეიშვილთან, ბათუმში—ივ. გოგოლაშვილთან, ხონში ექიმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რეუტოვის ქუჩაზე სახლი 21.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „МОГЗАУРИ“

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი (შ. 3—2)

სახლების მშენებელთა საყურადღებოდ

ახლად გამოგონებული „რევიზვილის“ სისტემის თვითმიმზიდველი კარ-ფანჯრების ხაეტი

შპინგალეტები

გამომგონს კანტორა მოსკოვსა და პეტერბურგში აქვს. კავკასიაში უმთავრესი წარმომადგენლობა ღებული აქვს და მსყიდველთ შეუძლიათ მიმართონ და ნიმუშები ნახონ. 1) ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან—ამხ. „კოლხიდა“ და 2) ტფილისში—დავით ბაატას ძე მაჰავარიანთან—სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის შენობის ეზოში, ტელეფონი № 885. (24—4)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობის თავმჯდომარე, თანახმად 4 ივლისის 1901 წლის კანონისა და ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, უმორჩილესად სთხოვს ხსენებულ ბანკის რწმუნებულთ მობრძანდნენ ქ. ქუთაის, 13 თებერვალს მდგომარე წელს, საგანგებო კრებაზე შემდეგი კითხვების განსახილველად და გადასაწყვეტად:

1) ზედამხედველ კომიტეტის ახალი წევრების არჩევა.
2) ორი ახალი წევრის მიმატება დამფასებელ კომისიისათვის.
3) ფინანსთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა.
4) და სხვა-და-სხვა კითხვები ბანკის საქმეების შესახებ. რწმუნებულთა კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ დაწვრილებით გაეცნონ კრების განსახილველ პროგრამის შინაარსს, თავმჯდომარე სთხოვს პირადათ მას მიმართონ ბანკში, ერთი კვირით ადრე კრების დაწყებამდის. (ნ. 3—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ზრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ზ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგების 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—14).

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე

თუდენაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—90)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—13)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—20)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—$6^1/_2$ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—20)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—20)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 20. მანველოვის სახლში. (30—399—30)

ტფილისში
ქალთა ექიმი
დავით ს. [illegible]ქინაშვილი

გადავიდა ქიროვსკის ქუჩაზე წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—9)

განსვენებულის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის დეკანოზის რაჟდენ გიგაურის მეუღლე და შვილები გულითად მადლობას უძღვნიან მათ, ვინც თანაუგრძნეს მწუხარებაში პირადათ, დეპეშით თუ წერილებით. (1—1)

ახალი წიგნი

Государственный языкъ въ грузинскихъ начальныхъ школахъ по поводу рецензіи г. Одоева, იაკობ გოგებაშვილისა. ფასი ექვსი შაური. საწყობი წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. იგზავნება სხვა ქალაქებშიც. (3 2)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დიენისა № 12 „კრუჟოკის“ გვერდით. (ნ.—20)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

12 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა კეთილ ინება, საქველმოქმედო ბაზრიდან შემოსულ ფულიდან ათი ათასი მანეთი გაუგზავნეს ტოკიოში საფრანგეთის ელჩის სახელობაზე. ეს ფული უნდა დაურიგდეს ყველა იმ ჯარის კაცებს, რომელთაც პორტ-არტური დასტოვეს.

**ლონდონი.** 10 იანვარი. პორტ-ლუიდან მიღებული დეპეშა უარს ჰყოფს იმ ხმას, ვითომ ბალტიის ესკადრა მადაგასკარის წყლებიდან გასულიყოს.

**ტოკიო,** 10 იანვარი. იაპონელები პორტ-არტურის ნავთსადგურის შესავალის ჩაკეტვას რომ ცდილობდნენ, 17 გემი თითონ შესწირეს და 9 გემიც სავაჭრო და სატრანსპორტო რუსებმა ჩაუძირეს. 309 რუსის აფიცერი და 17.511 ჯარის-კაცი, რომელნიც პორტ-არტურში ტყვედ ჩავარდნენ, იაპონიაში მოვიდნენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

11 იანვარი

**სუხუდიაპუ,** 10 იანვარი. იმ დღეებში საღამოს ექვს საათზე მარჯვენა ფრთაზე სოფ. ლიაოდოცანი რომ დავიჭირეთ მოკლულ იაპონელების ჩაცმულობა და იარაღიც ამტკიცებს, რომ ეს სალდათები იაპონიის სარეზერვო ჯარისა იყვნენ. 7 იანვარს სოფ. მატიონცზას ახლოს ჩვენს საყარაულოს ხუნხუზები დაეცნენ, მაგრამ ისევ გავრეკეთ. ხმა დადის, რომ ჩვენ მარცხენა ფრთისკენ იაპონელებმა გამოილაშქრეს ათი ბატალიონით რენენკამფის ჯარის წინააღმდეგ. დაიწყო აღმოსავლეთ-სამხრეთის ძლიერი ქარი და საშინელი მტვერია. ჰავა ღამე-კი თბილია, დღეს თოვს და ცოტათი ჰყინავს.

**ხუანშანი,** 1 იანვარი. ღამის $11^1/_2$ საათზე, წუხელ და დღეს თოვს, ორი ვერშოკი დასდო და გორაკებიდან ქარს ჩამოაქვს. ტემპერატურამ საკმაოდ დაიწია. 8 იანვარს იაპონელები დაცემას აპირებდნენ ინცელინის უღელტეხილზე, მაგრამ ჩვენმა მოხალისეებმა უკუაგდეს. იმავე დღეს საყარაულოზე ერთი ჩინელი მილიციონერი დაიჭირეს, რომელიც ჩვენი თოფით იყო შეიარაღებული, მეორე ჩინელი გაგვექცა. 8 იანვარს დილით სუიდუნის ახლოს იაპონელებმა ძლიერ შეავიწროვეს ჩვენი საყარაულო, მაგრამ მოხალისეების დახმარებით საყარაულო ისევ ჩვენებმა დაიჭირეს. 8 იანვარს იაპონელები ჩვენს რედუტს ზარბაზნებს ესროდნენ სოფ. ფანდიატუნთან, სადაც ჩვენი ორი ქვეითა პოლკი იდგა.

**ჩიფუ.** 11 იანვარი. იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს, არ ვიცით კი ვისგან, საიდუმლო საბუთის ქაღალდი, რომელიც მოწმობს, რომ პორტ-არტურში რუს-ჩინეთის ბანკის განყოფილებაში სამასი მილიონი ოქრო ინახებაო. პორტ-არტურის გადაცემის დღეს-კი ძლიერ ბევრი ეძებეს, მაგრამ სამასი მანეთიც კი აღარ აღმოჩნდა. იაპონელები ძალიან გაოცდნენ. ადმინისტრაციამ ძლივს ძლივობით დააჯერა იაპონელები და აუხსნა საქმის ნამდვილი მდგომარეობა. იაპონელებს იმედი გაუცრუვდათ.

**ლიბავა,** 11 იანვარი. ადმირალი ბირილევი დღეს დილით კრონშტადტს წავიდა.

**ხუანშანი,** 11 იანვარი. დილის 6 საათი და 10 წუთი. 10 იანვარს იაპონელებმა ხაბილინის უღელტეხილიდან წინ გამოილაშქრეს. მტერმა შეაწუხა ჩვენი საყარაულო და ერთი როტა ჯარიც. ხელში ჩაიგდო სოფლები ვაპლიხო და სუნდუნი. ამ უკანასკნელ სოფელში ერთი ბატალიონი ჯარი გვედგა. ბრძოლის დროს საქმე ხიშტებამდისაც მივიდა, როდესაც ერთი იაპონელი ტყვეთ ჩავიგდეთ წინა საყარაულოებთან არმიის. ფრონტზე პატარ-პატარა შეტაკებანი იყო. ორ სამთო ზარბაზნიდან იაპონელები ჩვენს საყარაულოებს ესროდნენ. 9 იანვარს იაპონელები სოფ. ინსიტუნს ესროდნენ და მერე ჩვენს ბატარეასაც დაუწყეს სროლა. 10 იანვარს ჩვენი არტილერია ზარბაზანს ესროდა მტრის კოლონას, რომელიც სამლოცველოს მთასთან მიიმართებოდა.—მტერი თან-დათან გვიახლოვდება. ერთმანეთის თხრილები ზოგ ადგილას 150 ნაბიჯის მანძილზეა. ჩვენი სალდათები და იაპონელები ერთმანეთს ხმას აწვდიან. იაპონიის სალდათები ბარათებს სწერენ და როცა ქარი ჩვენკენ ქრის, ჰაერში „გველს“ აუშვებენ ხოლმე და ბარათებს უბმენ; ძაფს რო [illegible] ჩვენი აფიცერი თხრილში მღეროდა და ამ დროს იაპონელთა თხრილებიდან ტაშის კვრა მოისმა. იაპონელებმა ჩვენებს ახალი წელიწადი მოულოცეს. თხრილებიდან გამოვიდნენ, თეთრი დროშით წინ გამოსწიეს და თხრილებს შუა კალათი დადგეს. კალათაში იყო მილოცვის წერილი, კონიაკი, კონფექტები და სხვ. და სხვ. იაპონელები წერილებით უფრო იმას გვეკითხებოდნენ: მალე შევურიგდებით თუ არაო.

**ჩიფუ,** 11 იანვარი. გუშინ საღამოს დალნიდან გემები მოვიდნენ, რომელთაც 1778 სული პორტ-არტურში მცხოვრები ხალხი მოიყვანეს. როგორც ირწმუნებიან, პორტ-არტურში კიდევ დარჩა ხალხი ორიათასამდე, მათ შორის 700-მეტი ქალები და ბავშვებია. თანახმად პირობის მეცხრე მუხლისა, კაპიტულაციით პორტ-არტურის მცხოვრებთ ნება მიეცათ თავისთვის მშვიდობიანად იცხოვრონ ქალაქში; ხოლო იმათ, ვინც ქალაქიდან გადასახლებას მოიწადინებენ, უფლება აქვთ თავის ქონება თან წაიღონ. ზოგიერთა ზომების მიუღებლობის გამო, ნორმალური ცხოვრების აღდგენა მეტად ძნელია. არ არის შესახვევი მასალა და მუშა ხალხიც ნაკლებათაა. ამიტომ სარჩო-საბადებლის წაღება პატარა ლურჯ ბუხტამდე, სიშორეს გამო, გაჭირვებულია.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 იანვარი

**პეტერბურგი.** ამ ჟამად მხოლოდ გაზეთი „პრავიტელსტვენი ვესტნიკი“-და გამოდის, ისიც შემოკლებული და „ვედომოსტი გრადონაჩალსტვა“ სრულად.

**კოვნო,** 11 იანვარი. ქალაქში და მის მიდამოებში დღეს გაიფიცა სამი ათასამდე მუშა ლითონის ხუთ ქარხანაში. ტრამვაის (კონკის) მოძრაობა შეჩერდა. ზომები მიღებულია.

**მოსკოვი,** 11 იანვარი. სანათ-გაზის ქარხანაში მუშაობს ჯარის მეთვალყურეობის ქვეშ. ელექტრონის სტანციაც მუშაობს. ვეიხელტის ელექტრონ-მექანიკურ ქარხანაში 400 მუშა გაიფიცა. მუშები იმასვე ითხოვენ, რასაც პეტერბურგელი გაფიცული მუშები. ბევრმა სტამბებმა და მათ შორის ისე დიდებმა, როგორც ლევინსონის და მამონტოვისაა, მუშაობა მოსპეს. არ იციან ყველა გაზეთი გამოვა თუ არა. ეს დამოკიდებული იქმნება მუშებთან მოლაპარაკება როგორ გათავდება. ქალაქ გარეთა ქარხნებთან ჯარის პატრულები დგანან. ეზოებში ჩააყენეს სამხედრო კომანდები და ყაზახები. რომელი ფაბრიკებიც კი მუშაობენ, სალდათები სდარაჯობენ, რომ კერძო პირნი არ შეუშვან. ცინდელის დიდი სამანუფაქტურო ფაბრიკის მუშებიც გაიფიცნენ, პროხოროვის მანუფაქტურის მუშებიც მოუსვენრობას იჩენენ. მუშები ჯგუფ-ჯგუფად დადიან გარე ქუჩებში, მაგრამ შუა-გულ ქალაქში არ უშვებენ. მუშაობა ისევ დაიწყეს ცინდელთან, მეშერინოვთან და ლევინსონის სტამბაში. ბახრუშინის ტყავისა და მაუდის ქარხნებზე არ იყო, რო მუშაობა ისევ დაიწყეს, მაგრამ, როცა ქუჩებში მთელი გროვა მთვრალი მუშებისა გამოჩნდნენ, ქარხნის პატრონს შეეშინდა, მაშინები არ გამიფუჭონო, და მუშაობა მოსპო, სვიმონოვის რაიონში გაიფიცნენ ბარის ქვაბის ქარხნის მუშები, აგრეთვე ტრუბების, ელექტრონის კუოკნილების და მთელ რიგმა პატარა ქარხნებისამ დანილოვკის უბანში მუშაობა მოსპეს. გაფიცულ მუშების რიცხვი 10,000-მდეა.

**ჰელსინგფორსი,** 11 იანვარი. დღეს დილით კურიერის მატარებლით მოვიდა გენერალ-გუბერნატორი თავადი ობოლენსკი.

სეიმმა კრებები დაიწყო.

**მიტავა,** 11 იანვარი. რადგან ქუნთრუშა მძვინვარებს, მინისტრის განკარგულებით სკოლასა და გიმნაზიებში სწავლის დაწყების ვადა გადაიდვა და არც იციან რა დრომდე.

**ბელგრადი,** 10 იანვარი. სკუპშინა დღეს შეიკრიბა. ხვალ მოელიან მინისტრებისა და კამარილებთა შორის ატეხილ კონფლიქტის გათავებას. მეფემ მოაწერა ხელი 1905 წლის ბიუჯეტს.

**პარიზი,** 11 იანვარი. ახალი სამინისტრო შემდეგ პირებისაგან შესდგა: რუვე ფინანსთა მინისტრია და ამასთანვე მინისტრ-პრეზიდენტიც; შემიე იუსტიციის მინისტრია, დელკასე გარეშე საქმეთა მინისტრი, ეტიენი შინაგან საქმეთა, ბერტო სამხედრო მინისტრი, ტომსონ საზღვაო მინისტრი, მარტენი სახალხო განათლებისა, გოტიე საზოგადო მუშაობისა მინისტრია, კლემენტელი სახალშენო მინისტრია, დიუბე ვაჭრობისა და რიუბო—მიწათ-მოქმედების მინისტრი.

**კურსკი,** 11 იანვარი. საგუბერნიო საერო კრება შუამდგომლობს სასოფლო წესდების გადასინჯვის შესახებ, და თანაც თხოულობს აფთიაქების პრივილეგიების მოსპობას. ამათვე დაადგინეს, დაუყოვნებლივ შემოიღონ გუბერნიაში სანიტარული ორგანიზაცია.

**ჰელსინგფორსი,** 11 იანვარი. „ფინლიანდიის გაზეთში“ გამოქვეყნებულია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად მოწყალედ ნებადართო ფინლიანდიაში დაბრუნდნენ ყველა ის ფინლიანდიელნი, რომელთაც უმაღლესის ბრძანებით 20 მარტს 1903 წელს აღკრძალული ჰქონდათ ცხოვრება ფინლიანდიაში.

**ვილნო,** 11 იანვარი. პეტერბურგელ მუშების არეულობას აქაურმა მუშებმაც მიჰბაძეს. მეტ ნაწილად ქარხნების მუშები გაიფიცნენ. არავითარი შემოჩვეული მოთხოვნილება არ წარმოუდგენიათ და მშვიდობიანად არიან. ქუჩებში დიდი მოძრაობაა. წესიერება ჯერ-ჯერობით არსად არ დარღვეულა.

**ბაქო,** 11 იანვარი. ნამქერის გამო ხალხისა და საქონლის მატარებლების მიმოსვლა შეჩერდა ბაქოსა და აჯიქაბულის შუა, აგრეთვე ბაქოსა და სურახანს შუა.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** გასტონ დრიუ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებს „ეკო დე პარი“-ს: სარწმუნოდ გავიგე, რომ რუსის არმია უსათუოდ წინ გაილაშქრებს. სიცაა დიდი ამბები მოხდება მანჯურიაშიო („ნ. დ.“).

„რუს“-ს ატყობინებენ ცინხენჩენიდან: ჩინელები ამბობენ, ტუნგოუსა და მიარშანში კუროკის საზღვარზე (მდ. იალუს სათავეში) იაპონელებს ჯარი უყენიათო.

გენ. მიშჩენკოს რაზმის თარეშში ერთი ფრანგი აფიცერი ბერტენიც იღებდა მონაწილეობას. ბერტენს წერილი მიეწერა პარიზში: ვერხნეუდინის ყაზახის პოლკში ჩამრიცხეს. პირველ ბრძოლაშივე დავამტკიცებ, რომ ნამდვილი მეგობარი ვარ რუსებისაო. ეს წერილი 14 იანვარს მიიღეს პარიზში, იმავ დღისით დეპეშა მოვიდა, ბერტენი 1 იანვარს დაშიჩაოსთან მოჰკლეს იაპონელებმაო. („ნ. ვ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი კლიმკოვი დეპეშით იუწყება ხუანშანიდან:

გენ. მიშჩენკოს თარეშის დროს ყაზახებმა ვერც ერთი ხიდი ვერ დაანგრიეს, რადგან იაპონელები საოცარის ბეჯითობით ჰყარაულობენ ხიდებსა.

„ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ კუნძულ სახალინიდან: კუნძულ სახალინის მცხოვრებლები ბეჯითად ადევნებენ თვალყურს წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის მოძრაობას. ეს ესკადრა რომ მოსულიყო, სახლებსა და მოძრავ ქონებას უფრო კარგ ფასში გაჰყიდდნენ პატრონები, ვისაც ხმელეთზე წასვლის ნება აქვს. პორტ-არტურის აღების შემდეგ ბევრნი ჰყიდიან ქონებას და გაჩქარებით მიდიან ციმბირში; ბევრი მოხელე და აფიცერიც აპირობს ციმბირში წასვლას. აქ ცხოვრება საშინლად გაძვირდა; ბევრი რამ სულ არ იშოვება; ნიკოლაევსკიდანაც (მდინარე ამურის შესართავშია) ვერაფერი მოაქვთ ძაღლებით. ჩრდილოეთ სახალინის მცხოვრებლები ასობით ჰყიდიან ირმებს ნიკოლაევსკში საკლავად.

„ეკო დე პარი"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გერმანია თითონ 90,50% სესხულობს ფულსა, რუსეთს-კი 95%-ად აძლევს. სულ გერმანიამ 80 მილიონი ასესხა რუსეთს, და ეს ფულიც სულ გერმანიაში დარჩა შეკვეთილ სამხედრო სურსათის გარანტიად. ნამდვილად გერმანია თავის ჯიბიდან ცოტას გაიღებს. გამოდის, რომ გერმანია თავის მეგობრობისათვის უხვ ჯილდოს იღებს რუსეთისაგან. („ნ. დ.").

**პორტ-არტური.** „ტაიმს"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: გენ. ნოგიმ 2 იანვარს თავისი ჯარი დაათვალიერა ახალ ქალაქში თავის შტაბის დივიზიების უფროსებისა და უცხოელ სამხედრო აგენტების თანადასწრებით. ჯარის დათვალიერებას რამდენიმე რუსიც დაესწრო. პოლკის ბაირაღები ყუმბარებისაგან სულ ნაფლეთებად იყო ნაქცევი. ამ სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. ჯარის დათვალიერების შემდეგ სარდლები ახალქალაქის სხვა ნაწილებში წავიდნენ. ეს ნაწილი მცირედაა დაზარალებული. ქალებსა და ბავშვებს არაფერი უბედურება არ შემთხვევიათ; სროლის დროს სახლებიდან [illegible] და კარგად შეჰჩვეულიყვნენ ზარბაზნის სროლას... ადმირალ მაკაროვის დაღუპვას ძლიერ გაეტეხა გული რუსის ფლოტისათვის; ამის შემდეგ რუსის მეზღვაურებს თურმე არაფრის გული აღარა ჰქონდათ. („რ.").

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: ერთი იაპონელი აფიცერი მოვიდა პორტ-არტურიდან და ილაპარაკა, რუსები ტყვე იაპონელებს პორტ-არტურში ციხეში ინახავდნენ, საწვავ მასალას სულ არ აძლევდნენ და მთელი ეს ხანი მარტო ორჯელ მიეცათ ციხიდან გასვლის ნება. იაპონელები გაცილებით უკეთესად ეპყრობიან ტყვე რუსებს, არაფერი შედარებაც-კი არ შეიძლებაო. („რ.").

**რუსეთისა და იაპონიის ფლოტი.** წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა გზაზე დგას, მესამე ესკადრასაც ამზადებენ შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნად. ამბობენ, მესამე ესკადრის პირველი რაზმი იქნება იანვარში გაუდგეს გზასაო. პირველად ბ-ნმა პრიბოიმ (კაპიტანმა კლადომ) მოითხოვა მესამე ესკადრის გაგზავნა. ბ-ნმა პრიბოიმ „ნოვოე ვრემია"-ში საინტერესო წერილები დაბეჭდა რუსის ფლოტზე და გაბედულად ამტკიცებდა: ოცნებობას თავი უნდა დავანებოთ, იაპონიის ფლოტი თითქმის ერთი ორად ძლიერია წყნარ ოკეანის მეორე ესკადრაზეო; მეორე ესკადრას კრეისერები მეტად ცოტა ჰყავს, იაპონიის ფლოტს-კი ბევრი კრეისერი ჰყავსო. რუსეთს მხოლოდ ერთი ფარსაგი პორტი აქვს ერთის დოკით ვლადივოსტოკში, იაპონელებს რამდენიმე პირველ ხარისხოვანი მშვენივრად მოწყობილი პორტი აქვთ მრავალის დოკით; რუსის გემები საჩქაროდაა გამართული და სულ არაა გამოცდილი, იაპონიის ფლოტმა-კი ყოველნაირი განსაცდელი გამოიარა ხანგრძლივ ბრძოლის დროს, ამიტომ რუსეთმა მესამე ესკადრაც უნდა მიაშველოს მეორე ესკადრას, თორემ უამისოდ იაპონიის ძლიერი ფლოტი ადვილად დაამარცხებს რუსის ფლოტსაო. წელს 2 იანვარს ბ. პრიბოიმ „ნოვოე ვრემია"-ში ხელ-ახლად დაიწყო წერილების ბეჭდვა ფლოტზე და, სხვათა შორის, დასწერა, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრამ გზა უნდა განაგრძოს, დაბრუნება არ შეიძლებაო. ამ წერილმა ბევრნი გააკვირვა და რუსული პრესა აალაპარაკა. ბ. ნოვიკოვმა „ნაში დნი"-ში მოკლე წერილი უძღვნა ბ. პრიბოის. ბ. ნოვიკოვი სწერს: „ნოვოე ვრემია"-ში 2 იანვარს სწორედ საკვირველი წერილი დაბეჭდა ბ. პრიბოიმ. ავტორი ბეჯითად ამტკიცებს, 1 ოქტომბერს, როცა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა გზას გაუდგა, არავითარი იმედი არა ჰქონდა არც პორტ-არტურის ესკადრის დახმარებისა, არც იმისი იმედი ჰქონდა, რომ პორტ-არტურში ბინა ეშოვაო. მერე ბ. კლადო იმასვე იმეორებს, რასაც წინად ამბობდა: მეორე ესკადრა გაცილებით სუსტია იაპონიის ფლოტზეო. ამიტომ პორტ-არტურის დაცემით, ავტორის აზრით, ესკადრას არაფერი დააკლდაო. კარგი და პატიოსანი. აქედან ცხადად გამოდის, რომ მეორე ესკადრაც არ უნდა გაეგზავნათ და რაკი გაგზავნეს, ეხლა უკან მაინც უნდა დააბრუნონ. სულაც არა. ბ. პრიბოიმ იცის, რომ მეორე ესკადრა საერთაშორისო უფლების ძალით ვერსად მოუცდის მესამე ესკადრის მოსვლას და მით მაინც ამბობს, მეორე ესკადრამ გზა უნდა განაგრძოსო. ბ. პრიბოი სწერს: „ესკადრის დაბრუნება ომის მოსპობასთან ბარი-ბარისაა, განა ეხლა ომის მოსპობაზე ლაპარაკი კი არ შეიძლება? არა. ეხლა ომი დაწყებულია და ფიალა ძირამდე უნდა შევსვათ, უნდა ვუშველოთ ესკადრას, უკან წასვლა კი არ შეიძლება. ვიმეორებ, ესკადრის უკან დაბრუნება ომის მოსპობა იქნება. რასაკვირველია, სჯობდა ერთად გაგვეგზავნა მეორე და მესამე ესკადრა, მაგრამ ჩვენ თითონ ჩავიდინეთ ეს შეცდომა და ეხლა მეტი ჩარა არაა, ბოლომდე უნდა გადაგვხდეს შედეგი ჩვენის შეცდომისა. გამარჯვების იმედი მაინცა გვაქვს; რადგან ეს იმედი შორს არ წაუვა ჩვეულებრივ რუსულ „ავოს"-ს, ამიტომ წინადვე უნდა ვიცოდეთ, რომ შეიძლება ჩვენ ესკადრას მარცხიც მოუვიდეს და ეხლავე ბეჯითად მოვემზადნეთ, რომ ამ მარცხის შედეგი გავასწოროთ". ამ საქმეს კიდევ დავუბრუნდებით, ამბობს ბ. პრიბოი. ადვილი გასაგებია, რომ ბ. პრიბოის არავითარი იმედი არა აქვს „ავოს"-ისა, ანუ საეჭვო გამარჯვებისა, დარწმუნებულია, რომ ესკადრა დამარცხდება და მით მაინც წინ ჰგზავნის ესკადრას. განა ეს ბოროტ-მოქმედება არაა? რა უნდა იგრძნოს რუსის ხალხმა, როდესაც საზღვაო ავტორიტეტები (საზღვაო საქმის მცოდნეები) ეუბნებიან, რამდენიმე ათასი რუსის მეზღვაური და რამდენსამე ას მილიონად დამჯდარი ესკადრა საეჭვოით მიდიან შორეულ-აღმოსავლეთსაო? არა მგონია, ამისთანა საეჭვო ომი კიდევ ყოფილიყოს როდისმე. ბ. პრიბოი ასე სჯის: 1. ესკადრა, გზას რომ გაუდგეს, დაიღუპება, 2. ომის მოსპობა არ შეიძლება, 3. ესკადრის დაბრუნება ომის მოსპობას ჰნიშნავს. ამიტომ დაე დაიღუპოს ესკადრა. რატომ არ შეიძლება ომის გათავება? რუსეთის სახელი მოითხოვს ომსა?! პირველ ესკადრის შემდეგ, ეხლა მეორე ესკადრაც რომ დაიღუპოს, განა ეს რუსეთის სახელს აღადგენს? საოცარი აზრია სწორედ! ვაი რუსეთის ბრალი!".

ბ. პრიბოის ვინმე ბ. სუვუფუნმაც კი დაუწერა პასუხი „ნოვოსტი"-ში: ბ. სუვუფუნი სწერს: „ბ. პრიბოის წერილებიდან ცხადად გამოდიოდა, რომ წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა სუსტია იაპონიის ფლოტზე და ბრძოლის დროს პირველ ესკადრასავით იქნება განადგურებული, მაგრამ ბ. პრიბოი სრულიად მოულოდნელად ამბობს, იქნება პირველ ბრძოლაში წყნარ ოკეანის მეორე ესკადრამ გაიმარჯვოსო. რა უფლება აქვს ბ. პრიბოის ამის თქმისა, თუ მართლა გულწრფელად სძულს ოცნება, ფანტაზია და ილიუზია.

განა თითონ ბ. პრიბოი არ ამტკიცებდა, რომ წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა სუსტია იაპონიის ესკადრაზეო? მაგრამ ოცნება მეტად სასიამოვნოა და ოცნებაში გამარჯვებაც ადვილია. ბ. პრიბოი ოცნებობს, განადგურებულ მეორე ესკადრას, მესამე ესკადრა მიეშველება და რუსის ფლოტი ზღვაზე გაბატონდებაო. ვნახოთ რას წარმოადგენს მესამე ესკადრა. ვსთქვათ ყველა გემი, რაც კი გვყავს, მომზადებული, თუ მოუმზადებელი, შევკრიბეთ და მესამე ესკადრა შევადგინეთ; ვსთქვათ ისიც, რომ მეორე და მესამე ესკადრა ერთად ჩავიდნენ შორეულ-აღმოსავლეთს; იაპონიის ფლოტი მაინც ძლიერი იქნება რუსის ფლოტზე. მაშ რაღა საჭიროა მესამე ესკადრის გაგზავნა. აბა ბ. პრიბოიმ სცადოს და დაგვიმტკიცოს ამ ესკადრის გაგზავნის სარგებლობა, მხოლოდ ოცნებას თავი დაანებოს. ბ. პრიბოის პირველ წერილებიდან ცხადად გამოდიოდა, რომ რუსეთი ტყუილად გაჰგზავნის ფლოტს შორეულ-აღმოსავლეთში, სულ ერთია ვერას გახდება; რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა და საეჭვო, სახიფათო საქმეებს უნდა ერიდებოდესო. ეხლა-კი ბ. პრიბოიმ ოცნებობა დაიწყო. საინტერესოა ვიცოდეთ, როდის უფრო გულწრფელად სწერდა ბ. პრიბოი"?

---

## ცხოვრება და სამართალი

### I

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო იუსტიციის მინისტრის ნ. ვ. მურავიოვის აზრი იმის შესახებ, თუ როგორი რეფორმა უნდა იქმნას შემოღებული სასამართლო დაწესებულებებისა 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების მიხედვით. მინისტრის აზრით, მთელს რუსეთზე უნდა გავრცელდეს პოლონეთის ეხლანდელი სასამართლო დაწესებულებები, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს გმინის სასამართლოს. რადგან საქართველოს მკვიდრისთვის სასამართლოს რეფორმა ფრიად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი საგანია, ამიტომ ურიგოდ არ მიგვაჩნია მინისტრის ნ. ვ. მურავიოვის სიტყვების გამო გაგიხსენოთ, რას წარმოადგენს პოლონეთის გმინის სასამართლო.

გმინა ჰქვია სასოფლო საზოგადოებას და იმგვარივე საადმინისტრაციო ერთეულია, როგორც რუსეთში ვოლოსტი, იმ განსხვავებით, რომ გმინა უწოდებრივოა და გმინის მმართველობა ან თვითმმართველობა მარტო გლეხებზე-კი არა ვრცელდება, არამედ გმინის ყველა მცხოვრებზე. გმინა ჩვეულებრივ შესდგება რამდენისამე სოფლისაგან და შეიცავს 300-დან 500-მდე კომლ მცხოვრებს. მთლად პოლონეთში 1891 წელს გმინების რიცხვი 1288-მდე იყო. ზოგან თითოეულ გმინას აქვს თავისი საგმინო სასამართლო. ზოგან-კი რამდენიმე გმინას საერთო სასამართლო აქვს, ასე რომ სულ ითვლება პოლონეთში 374 საგმინო სასამართლო. ქალაქებში ამ სასამართლოს მაგიერ ჰმოქმედობს მომრიგებელი სასამართლო.

საგმინო სასამართლო შესდგება საგმინო მოსამართლისა და ეგრედ წოდებულ ლავნიკებისაგან. მოსამართლე ერთია და ლავნიკი ორი. საგმინო მოსამართლე ყოველთვის ლავნიკებთან ერთად ჰმოქმედობს და ცალკე, ლავნიკების დამოუკიდებლად მოქმედების უფლება არა აქვს. საგმინო მოსამართლეს და ლავნიკებს ირჩევს გმინა სამის წლით. ამ თანამდებობათათვის მხოლოდ ისეთი პირი შეიძლება იქმნას არჩეული, რომელიც ხნით უცდა-ხუთის წლისაზე უმცროსი არ არის, უკანასკნელი სამი წელიწადი მაინც გმინის რაიონში სცხოვრობდა და მფლობელობს არა ნაკლებ ექვსი მორგის (სამის დესეტინის) მიწისა. აუცილებელია აგრეთვე ასარჩევი პირი ერთ-ერთ ქრისტიანულ სარწმუნოებას ეკუთვნოდეს; გარდა ამისა საჭიროა, მოსამართლედ ასარჩევ პირს რომელიმე სასწავლებლის კურსი ჰქონდეს დასრულებული, თუნდ პირველ დაწყებითისა. ვისაც სამი წელიწადი გაუტარებია ისეთს სამსახურში, რომელიც პრაქტიკულად აძლევს კაცს სასამართლო საქმეების წარმოების ცოდნას, იმისთვის განათლების ცენზი საჭირო არ არის. ლავნიკის თანამდებობაზე ასარჩევად კურსის დასრულება საჭიროდ არ ირიცხება, საკმარისია რუსულის წერა-კითხვის ცოდნა. გმინა თავის ყრილობაზე ირჩევს თითოეულ თანამდებობისთვის ორს კანდიდატს (შეიძლება მეტიც აირჩიოს). საგმინო მოსამართლის კანდიტატების სიას ადგილობრივი გუბერნატორი უდგენს იუსტიციის მინისტრს, რომლის ნება-ყოფლობაზედაც არის დამოკიდებული, ერთ-ერთს კანდიდატთაგანს დაამტკიცებს მოსამართლის თანამდებობაზე თუ სხვას ვისმე გარეშე პირს დაჰნიშნავს ამ ადგილზე ხელახალს არჩევნებამდე. ლავნიკებს და მათს კანდიდატებს ამტკიცებს გუბერნატორი ოლქის სასამართლოს პროკურორთან შეთანხმებით. იუსტიციის მინისტრს ყოველთვის შეუძლიან საგმინო მოსამართლე და ლავნიკები გადააყენოს თანამდებობიდან.

საგმინო სასამართლოს ექვემდებარება გმინის რაიონის სამოქალაქო საქმეები სამას მანეთის ღირებულობამდე და ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებისათვისაც წესდებაში მომრიგებელ მოსამართლეთაგან სასჯელის დანიშვნის შესახებ დაწესებულია, როგორც სასჯელი: გაკიცხვა, შეჩვენება, შთაგონება, ჯარიმა 300 მანეთამდე, დაპატიმრება არა უმეტეს სამის თვისა და საპყრობილე არა უმეტეს ერთის წლისა. კერძო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი, როდესაც ნაპარავის ან მითვისებულ საგნის ღირებულება 30 მანეთს აღემატება, საგმინო სასამართლოს არ ექვემდებარება; ამ საქმეებს არჩევს მომრიგებელი მოსამართლე. გარდა ამისა, არის კიდევ რამდენიმე გვარი დანაშაულობისა, რომელიც საგმინო სასამართლოს იურისდიქციიდან გამოტოვებულია.

საგმინო მოსამართლეს ეძლევა ჯამაგირი წელიწადში 700 მან., ლავნიკს—150 მან. და სასამართლოს მწერალს, რომელიც ინიშნება თანამდებობაზე მომრიგებელ მოსამართლეთა კრებულის თავმჯდომარის განკარგულებით,—500 მან. საკანცელარიო და სხვა საჭირო ხარჯების დასაფარავად გადადებულია თითოეულ სასამართლოთვის 500 მ. სასამართლოს შენახვისა და ჯამაგირების ხარჯს იხდის გმინა. საგმინო სასამართლოში საქმის წარმოება საერთოდ რუსულს ენაზე უნდა სწარმოებდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მომჩივანსა და მოპასუხეს რუსული ენა არ ესმით, შეიძლება ადგილობრივ ენის ხმარებაც; სასამართლოს ყოველგვარი დადგენილება მაინც უთუოდ რუსულს ენაზე უნდა იყოს დაწერილი. 1878 და 1880 წლებში სენატმა ორჯელ განმარტა, რომ საგმინო სასამართლოში საჩივრის არზა ადგილობრივს და არა რუსულს ენაზე დაწერილი მიღებულ უნდა იქმნას სასამართლოსაგანაო, მაგრამ ამ განმარტებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონია, რადგან ბევრგან მოსამართლეებმა ასეთი ჩვეულება შემოიღეს: პოლონურს ენაზე დაწერილის არზის შინაარსს ჩასწერენ ოქმში, როგორც სიტყვიერს განცხადებას, და თვით არზას ისევ უკან უბრუნებენ. საგმინო სასამართლომ თავისი განაჩენი კანონზე უნდა დაამყაროს ხოლმე, მაგრამ მოდავეთა ან ერთ-ერთის მოდავის სურვილის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს იხელმძღვანელოს ადგილობრივის ჩვეულებებით.

როგორც ვსთქვით, ქალაქ ადგილებში მოქმედებს მომრიგებელი მოსამართლე და არა საგმინო სასამართლო. მომრიგებელი მოსამართლე პოლონეთში მთავრობისაგან ინიშნება თანამდებობაზე ისე, როგორც ჩვენში. ოლქის სასამართლო და სასამართლო პალატა პოლონეთში საერთოდ ისევეა მოწყობილი, როგორც ჩვენში. ის საქმეები, რომლებიც საგმინო სასამართლოს ოლქის რაიონში სჩნდებიან და არც ოლქის სასამართლოს, არც საგმინო სასამართლოს იურისდიქციას არ შეადგენენ, ექვემდებარებიან მომრიგებელ მოსამართლეებს.

საგმინო სასამართლოს ორგანიზაცია გაცილებით მეტს სიახლოვეს ჰქმნის ხალხისა და სასამართლოს შორის, ვიდრე ჩვენებურ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, მაგრამ არც საგმინო სასამართლოსა აქვს მინიჭებული ჯეროვანი დამოუკიდებლობა. მთავარი პირი ამ სასამართლოსი, საგმინო მოსამართლე, თითქმის მხოლოდ სახელით არის საარჩევნო თანამდებობა, რადგან იუსტიციის მინისტრს შეუძლიან არჩეული კანდიდატები არ დაამტკიცოს და თავის განკარგულებით გაამწესოს ამ ადგილზე სრულიად გარეშე და გმინისთვის უცხო პირი. ერთი მესამედი საგმინო მოსამართლეებისა მთავრობის დანიშნულებს არიან. გარდა ამისა თვალსაჩინოდ ასახიჩრებს საგმინო მოსამართლის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ის გარემოება, რომ ყოველ წუთს შეუძლიან მთავრობას მისი გადაყენება. ამისდა მიუხედავად, პოლონეთში საგმინო სასამართლომ, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პირთაგან შემდგარმა დაწესებულებამ, მოიპოვა საერთო ნდობა და პატივისცემა.

ჩვენ, ქართველებს, საგმინო სასამართლოს შემოღება სასურველად უნდა მიგვაჩნდეს, რადგან 1867 წელს შემოღებულმა მთავრობისაგან დანიშნულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტმა უკვე თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ იგი სრულიად ვერ ემსახურება ხალხში კანონიერების გრძნობის განმტკიცებას, რომ იმან დღემდე ვერ მოიპოვა ხალხის თვალში ნდობა, და ამის მიზეზი კი ის არის, რომ მომეტებულ ნაწილად ჩვენებურმა მოსამართლემ ხალხის ზნე-ჩვეულებისა არაფერი არ იცის და იმისი ენა არ ესმის. საგმინო სასამართლოში მოდავე მაინც არ დაამახინჯებს მოდავეთა აზრს და ხალხს პირდაპირ, მოცნის უშუამავლოდ, მაინც შეეძლება შეისმინოს მოსამართლის სიტყვა. გარდა ამისა საგმინო სასამართლო ჰსჯობს სოფლის სასამართლოს, რომელიც ჩვენში უფრო უსამართლობის მოციქულია, ვიდრე სამართლისა. რა თქმა უნდა, საგმინო სასამართლო იდეალური დაწესებულება არ არის, ჩვენი მისწრაფება და სურვილი იმაზედ შორს მიდის, მაგრამ ეხლა რომ აწინდელ მომრიგებელ მოსამართლეთა ნაცვლად საგმინო სასამართლოს შემოიღებდნენ, იმ ცვლილებით, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, სამართლის საქმე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება. **გ. რ.**

## ახალი ამბავი

◆ „ნოვ. ობ."-ს 11 იანვარს **პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ:** „მეოთხე დღეა გაზეთები აღარ არის, გამოდის მხოლოდ „პრავიტ. ვესტნიკ"-ის ნახევარი ფურცელი. გუშინ ყველგან ელექტრონი ჩააქრეს. ამის გამო ნავთი გირვანქა 20 კაპ. იყიდება".

◆ რადგან **თავ. გ. ს. გოლიცინი მთავარმართებლის თანამდებობიდან გადადგა,** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 11 იანვრის სხდომაზედ ლაპარაკი აღძრა იმაზე, თუ ვინ აირჩიოს საზოგადოების პრეზიდენტად. საბჭომ დაადგინა, მოახდინოს 18 იანვარს საზოგადოების წევრთა კერძო კრება პრეზიდენტის კანდიდატის დასასახელებლად.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის გამგეობასა და **სახალხო სკოლების დირექციას** შორის მიწერ-მოწერა გაიმართა იმ წარმოდგენების შესახებ, რომელიც ქალაქმა თავის სკოლების მოსწავლეთ გაუმართა. დირექციამ გუშინ შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ კანონის მე-XI ტომის პირველ ნაწილის მე-3560 მუხლის ძალით, ყველა კერძო თუ სახელმწიფო სასწავლებლები ექვემდებარებიან სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ქალაქის სკოლების მოსწავლეთა აღზრდა-სწავლების საქმე როგორც სკოლებსა, ისე სკოლების გარეთაც, დირექციის მოვალეობას შეადგენს, ამიტომ ერთხელ კიდევ გთხოვთ შეგვატყობინოთ, სამოსწავლო უწყების რომელ წარმომადგენელისაგან აიღეთ ნებართვა წარმოდგენების გამართვისაო. ქალაქის მოურავმა გუშინვე აცნობა: მართალია აღნიშნულ ტომის და მუხლის ძალით სკოლები ექვემდებარებიან სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, მაგრამ ამ მუხლში მოხსენებული უფლებანი განსაზღვრულია იმ წესდებით, რომელიც გამოიცა სახალხო სკოლების დირექტორების სახელმძღვანელოდ. ამიტომ, სწერს ქალაქის მოურავი, გვაცნობეთ ნამდვილი აზრი კანონის იმ მუხლისა, რომლის ძალითაც ქალაქის თვითმმართველობა ვალდებულია ნებართვა აიღოს წარმოდგენების გამართვის დროსაო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების სადგომში გუშინ, 12 იანვარს, დილის 7 საათზედ, შემდეგი მოხდა: საწყობში ჩასულა ვაგონების ამქრის ბრიგადირი სამსონ გამყრელიძე. კარებთან გამყრელიძეს ვიღაც მოსწევია, ორჯელ **რევოლვერი უსროლია და იქვე მოუკლავს.** მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

◆ დღეს, 13 იანვრისთვის, დანიშნულია სხდომა ტფილისის გუბერნიის **ქალაქის საქმეთა საკრებულოსი.** საკრებულო, სხვათა შორის, განიხილავს: ქ. ახალქალაქის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვას 1905 წლისათვის, ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის მოსაზრებას ქალაქის სამხედრო საკრებულოს ყოფილ წევრის ი. ს. ბუღდანოვისა და ლომბარდის გადამწერის ლაზარევის საქმის შესახებ, რომელთაც ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებათ; მოხსენებას მოქალაქეთა მამასახლისად ნამყოფის ედიგაროვისა და უსტაბაშების მილილოვისა, არუთინოვისა და სხვათა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სამსახურის დროს საზოგადო ფულის გაფლანგვის გამო; დადგენილება გორის ქალაქის რწმუნებულთა სოფლიდან სანოვაგის შემომტან გლეხობაზე გადასახადის გაწერის შესახებ და სხვა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 11 იანვარს განიხილა **შუამდგომლობა ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოებისა** შემწეობის აღმოჩენის შესახებ. აღნიშნულ საზოგადოების გამგეობა თხოულობს შემწეობას როგორც ფულით, ისე სხვა მხრივაც: წიგნებით, იარაღებით, თესლეულობით. საბჭომ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ქალთა სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა, მხოლოდ დაადგინა, ფულით შემწეობის შესახებ მსჯელობა იქონიოს 1905 წლის აღრიცხვის განხილვის დროს.

◆ **შარშან ტფილისის ქუჩების მომკირწყვლელმა** კომისიამ საუკეთესო სისტემით მოაკირწყლინა სულ 5,600 ოთხ-კ. საჟენი. როგორც კომისიის ცნობებიდან სჩანს, ქალაქში 28,000 ოთხ-კ. საჟენი სრულიად მოუკირწყლავი ყოფილა. წელს იმ ქუჩების მოსაკირწყლავად რიყის ქვით საჭიროა 140,000 მან. საუკეთესო სისტემით მოსაკირწყლავ ქუჩებისათვის—200,000 მან. ქალაქმა თავიდანვე 200,000 მან. გადასდო კარგის სისტემით ქუჩების მოსაკირწყლავად. აქედან შარშან დახარჯულა 150,000 მან. კომისიას ამ წლისათვის დარჩენია 50,000 მან. საჭირო კია 200,000 მან. როგორც ვიცით, 600,000 მან. გარდა საბჭომ გადასწყვიტა იშოვოს კიდევ 400,000 მან. ქუჩების მოსაკირწყლავად. ამიტომ კომისიამ დაადგინა, სთხოვოს გამ-

ობას 50,000 მანეთის გარდა იშოვნოს კიდევ 150,000 მან. საერთოდ-კი იმ ერთ მილიონ მანეთის გარდა, რომელიც ქუჩებისათვის არის გადადებული, კომისიის აზრით, საჭიროა კიდევ ნახევარი მილიონი მანეთი.

◆ „ტიფ. ლ."-ში დაბეჭდილია წერილი ამას წინად **უეცრად გარდაცვლილ გრაბოვსკის** შვილისა. ბ-ნი კ. გრაბოვსკი სწერს: „ქალაქში გავრცელდა ცრუ ხმები მამიჩემის სიკვდილის შესახებ. ამის გამო ვაცხადებ, რომ მამა ჩემი გარდაიცვალა გულის სიდამბლისაგან, რომელიც გამოიწვია ზნეობრივმა ტანჯვამ, რადგან უსამართლოდ ცუდ საქციელის ბრალი დასდეს. გულის სიდამბლისაგან გარდაცვალება შეამოწმეს ექიმებმა ტ. ი. რუდენკომ და სახაროვმა".

◆ მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 13 იანვარს, სახაზინო თეატრში **ბენეფისია ნიჭიერ-არტის** ქალის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. წარმოადგენენ კ. დოდაშვილის ახალ პიესას—„ჩვენი ნაცნობები" და დრამას—„ცოლი-უღელის მწეველი". ამ წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

◆ სამ იანვარს ალექსანდროპოლში **ხოლერით ავად გახდა** ერთი კაცი, რომელიც 5 იანვარს მოკვდა. ამის მეტი ხოლერით არავინ გამხდარა ავად ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებში.

◆ **შემდეგი დეპეშა** მოგვივიდა: „შორეულ აღმოსავლეთიდან ვულოცავ ახალწელს ნათესავთა და ნაცნობთ. მიხა პარკაია".

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი** მიხ. ყიფიანი ამ დღეებში პეტერბურგს წავიდა. ქალაქის გამგეობამ ბ-ნს ყიფიანს მისცა მოწმობა მიიღოს სახალხო განათლების სამინისტროსაგან ყველა ის ცნობები, რომელიც საჭიროა საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ მოხსენების შესადგენად.

◆ კარგა ხანია ქალაქის ინჟენერმა კოგნოვიცკიმ დაამთავრა მტკვრის ნაპირებზე სახალხო აბანოების გასამართავად პროექტის შედგენა. პროექტით აბანოების გასამართავად საჭირო იქნება 6000 მან. ხმ. ი. მ. დოლუხანოვმა გუშინ სთხოვა გამგეობას, უსათუოდ 6000 მან. ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქნას შეტანილი.

◆ 10 იანვარს, შუა ბაზარში, ივანე ანდრიასოვის მაღაზია ღამე გასტეხა ვიღაც ბოროტ-განზრახველმა და გაიტანა იქიდან 8000 მანეთი ღირებული ოქროსა, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ქურდების ვინაობა ჯერ არ იციან, თუმცა განკარგულება ფიცხელი მოახდინეს იმათ აღმოსაჩენად.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, სიონის საკრებულო ტაძრის საეკკლესიო სახლში, ირაკლის ქუჩაზე, ოსიპოვის დუქანში მსახურს, ტფილისის მაზრის მცხოვრებს ვასილ მჭედლიძეს, 10 იანვარს დაწოლის დროს მაყალი გაეძლიერებინა. დილით მჭედლიძე უგარისაგან მკვდარი ნახეს.

◆ 10 იანვარს, პოლიციის მე-6 ნაწილში, სუმბათაშვილის ქუჩაზე, ჩხუბის დროს სპარსელმა ალი-კალუმ-ოღლიმ ბებუთი დასცა ბეჭში ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებს მიხეილ ვაწაძეს და დასჭრა. დაჭრილი მიხეილი სამკურნალოში გაგზავნეს. ბრალდებული დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, 10 იანვარს, პოლიციელებმა დააპატიმრეს გორის მაზრის მცხოვრები გიორგი ბაკურიძე, რომელსაც სადღაც ნივთები მოეპარა და მიჰქონდა. ბაკურიძე გამოტყდა ქურდობაში. ნივთები აღმოჩნდა ვოსკანოვისა.

◆ ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტის კანცელარიამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე, მიაწოდოს ანგარიში ქალაქის თვით-მმართველობის მოღვაწეობისა 1904 წლის განმავლობაში.

დღევანდელ ნომერთან ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება** № 285 შინაარსი: „აღსდგა მკვდრეთით! ანუ მარუჩა", ისტორიული დრამა 3 მოქმ. (გაგრძელება), ბ-ლისა; სურათები: „ევა შეცოდებამდე."—ქანდაკება მერსისა, პოდპოლკ. ლაფერაშვილი, პორტ-არტურში დაჭრილი, „ღმერთი მერკურიუსი",—ქანდაკება მერსისა და ოთხი კარიკატურა.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ პეტერბურგიდან დაბრუნდა ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე. როგორც მკითხველებმა დეპეშიდან უკვე იციან, მთავრობამ შეიწყნარა ქალაქის შუამდგომლობა და აძლევს მას სესხად ეგრედ წოდებულ „ბესარაბიის სამონასტრო თანხიდან" ქალაქის საავადმყოფოს ასაგებად 50,000 მანეთს 25 წლის ვადით, რისთვისაც უნდა იხადოს ყოველწლიური სარგებელი 4%; გარდა ამისა, თავნ ვალიდანაც ყოველწლიურად უნდა დაჰფაროს 2,000 მანეთი. პოლიციის ვალის 84,000 მანეთის გადახდა მთავრობას 10 წლის ვადით გადაუდვია. შუამდგომლობა ქუთაისში რკინის გზით შემოტანილ-გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ სრული იმედი აქვთ, რომ ქალაქის სასარგებლოდ გადასწყდება. ამ საკითხს განიხილავს სამინისტრო ამ იანვრის სესიაში. შუამდგომლობა „წყალთაშუა"-ში ხე-ტყის მოედნისათვის სახაზინო ადგილის დათმობის შესახებ დროებით შეჩერებულია, რადგან ამ შუამდგომლობის შესახებ ჯერ-ჯერობით მთავარ-მართებლის კანცელარიას თავისი აზრი არ წარუდგენია. ამდენ ხანს ამ შუამდგომლობას აბრკოლებდა ის გარემოება, რომ ხსენებულ ადგილს თხოულობდა საავადმყოფოს ასაგებად ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე ქ-ნი სმაგინისა, მაგრამ ეხლა იმან უარი განაცხადა ქალაქის სასარგებლოდ, რადგან ამ ადგილის ნაცვლად ქალაქმა სხვაგან აღუთქვა საავადმყოფოსათვის საჭირო ადგილის დათმობა. დასასრულ ქალაქის შუამდგომლობა საობლიგაციო სესხის შესახებაც დროებით შეუჩერებიათ, რადგან ქალაქისაგან მოუთხოვიათ დამატებითი ცნობები იმის შესახებ, რით უზრუნველ ჰყოფს ქალაქი სესხს.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ბედ-იღბალი სამინისტროში კიდევ არ გადაწყვეტილა. როგორც ამბობდნენ, წარსულის წლის 28 დეკემბერს საერო განათლების მინისტრი ხელმწიფე იმპერატორს უნდა წარსდგომოდა ამ საქმის შესახებ მოსახსენებლად. მას შემდეგ კი აღარაფერი ისმის. სწორედ საკვირველია ასეთი დაუსრულებელი შუამდგომლობა! საკვირველია, რომ ჩვენს საქმეებს არც გაზაფხულის სიო შველის და არც შემოდგომისა! გუბერნიის წინამძღოლი თავ. ს. გ. წერეთელი ისევ პეტერბურგშია და უცდის სასწავლებლის ბედის გადაწყვეტას, მაგრამ როდემდის?!

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანი, სამხედრო ინჟენერი გ. ე. ფონ-შულცი გადაჰყავთ თურქესტანის სამხედრო ოლქში. ამის გამო მან განცხადება შეიტანა ქალაქის საბჭოში შესახებ იმისა, რომ განათავისუფლონ საბჭოს ხმოსნობიდან, ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მზრუნველობიდან და საამშენებლო კომისიის წევრობიდან.

## პრესსა

გაზეთი „ნაში დნი" (№ 17) მეთაურ წერილს უძღვნის ჩვენს ქვეყანას. წერილის ავტორი იწუნებს გადამეტებულ სასტიკ ადმინისტრატიულს წესრიგს, რომლით ხასიათდება ჩვენის ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე. სისასტიკითა და საზოგადოებრივ ძალების შევიწროებით უნდოდათ ამ განაპირა ქვეყნის ცხოვრების მოწესრიგებაო, მაგრამ ამგვარმა პოლიტიკამ სრულიად სხვა ნაყოფი მოიტანაო:

> ავაზაკობა გაძლიერდა, ეროვნული მოძრაობა გამწვავდა და, ველიჩკოს მეოხებით, ქართველთა, სომეხთა, რუსთა და თათართა ურთიერთ ველური მტრობა დაიბადა... პოლიციურ წესზე მართვამ და ყოველგვარ საზოგადოებრივ უფლებათა მოსპობამ კავკასია არა-თუ არ დაუახლოვა რუსეთს, არამედ უფრო დააშორა ისინი ერთმანეთს... უეჭველია კავკასიის ცხოვრების სიღრმეში კიდევ ბევრი რამ დარჩა ძველის დროისა. მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლა საპყრობილეებითა და პოლიციის ზომებით არ შეიძლება. ყოველი ცუდი ნაშთი თავისთავად გაჰქრება ახალ ცხოვრების წინაშე, თუ ამ ცხოვრებას საფუძვლად დაედება ნამდვილი მოქალაქობრივი წეს-წყობილება და კანონიერება... მართალია, „ახალ ცხოვრებას" ცირკულიარებითა და ბრძანებით ვერ შევქნით, ერთის კალმის მოსმით ყველა უკუღმართობას ვერ მოვსპობთ, მაგრამ თანდათანის კულტურულის მუშაობით საზოგადოებასთან ერთად მალე მოვიხვეჭთ სასურველს ნაყოფს... საზოგადოებრივ პროგრესს თვით საზოგადოება ჰქმნის და ამიტომ, თუ პროგრესი სასურველ მოვლენად მიგვაჩნია, საჭიროა საზოგადოებასვე მიეცეს ნება, თავისუფლად იმუშაოს თავის განვითარების საქმეში. საჭიროა საზოგადოებას სიყვარულითა და ნდობით ეპყრობოდნენ; მარტო საზოგადოებრივი თვითმოქმედება, პრესის თავისუფლება და კანონიერ უფლებათა არსებობა უშველიან საქმეს, დაამყარებენ კავკასიაში ფართო მოქალაქობრივ ცხოვრებასა და კულტურულ პირობებს. საჭიროა მეტი ნდობა საზოგადოებისადმი, მეტი ნდობა იმის შემოქმედებით ძალებისადმი. აი რას მოელის კავკასია, რომელსაც დღემდის პოლიციური მუხრუჭი აქვს მოჭერილი! კავკასია ველური ქვეყანა არ არის, იმის მცხოვრებნიც რუსებზე არა ნაკლებ გრძნობენ ცხოვრების უსამართლობას და სწყურიათ იმის მოსპობა, ჰსურთ თავის მდგომარეობის გაუმჯობესება...

⁂

„ნოვოე ვრემია"-მაც აღიარა მუშათა საკითხის არსებობა რუსეთში; ეს კიდევ ცოტაა: აღიარა ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა.

> თუ კარგათ დაუკვირდებით ჩვენის ქვეყნის მრეწველობის მდგომარეობას, ნათლად დაინახავთ, რომ იმაში ღრმა პროცესი სწარმოებს, რომელსაც მეტად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. მუშების გაფიცვა, მუშათა არეულობანი დიდი ხანია შემთხვევითი მოვლენა აღარ არის ჩვენში, არამედ მუდმივი და ძლიერი. პირველის შეხედვით სულ უბრალო მიზეზები ხშირად იწვევენ საქმის გამწვავებას და ხშირად სისხლიც იღვრება. ბევრს სამრეწველო ცენტრში დრო-გამოშვებით დიდი არეულობა ხდება და მთავრობას სამხედრო ძალის მოხმარება ეპირვება წესიერების აღსადგენად. ვინც დაახლოვებით გაიცნობს ჩვენში მუშათა მოძრაობას, ის დარწმუნდება, რომ ეს მოძრაობა თანდათან პოლიტიკურ ხასიათს იღებს. ამასთანავე დარწმუნდება, რომ მუშათა მოძრაობის პოლიტიკური ელფერი შემთხვევითი არ არის: იმის მიზეზია თვით მთავრობის პოლიტიკა, მთავრობის მოქმედება. მართლაც, კარგა ხანია დავრწმუნდით, რომ რეპრესიული ღონისძიებანი კეთილ ნაყოფს ვერ მოიტანენ, მაგრამ მაინც გვინდა ამგვარ ღონისძიებით დავამშვიდოთ მუშათა მოძრაობა. ცხადია, რომ მუშათა მოძრაობას მშვიდობიანს ხასიათს მისცემს მხოლოდ სერიოზული და ენერგიული რეფორმა. ეს რეფორმა მარტო ეკონომიური კი არ უნდა იყოს, არამედ უფლებრივიც..

## ახალი და ძველი

1.

საცოდავი შელგუნოვი: რა უდროო დროს გარდაიცვალა! იმ ბნელსა და უკუღმართ დროში, როცა ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობა მოსპობილი იყო, როცა ცხოველი აზრის გამოთქმა ბოროტმოქმედებად იყო აღიარებული, როცა პატიოსან მოქალაქობრივ მოღვაწეობას ადგილი არ ჰქონდა,—ცნობილი პუბლიცისტი ამაოდ ეძებდა რუსეთის ცხოვრებაში „ბრწყინვალე მოვლენათ". ღრმად დარწმუნებული, რომ ისტორიული პროგრესი აუცილებელი კანონია, შელგუნოვი დიოგენის ფარნით ეძებდა მაშინდელ ცხოვრებაში ამ პროგრესის ნიშნებს, ცხოვრების გაუმჯობესების სიმპტომებს; მაგრამ სასოწარკვეთილებით იხევდა უკან და თავის ყოველთვიურს მიმოხილვებს „ბნელ მოვლენათა" აღწერით ავსებდა; მხოლოდ იშვიათად იმის თვიურში მხიარული კილოც შეიპარებოდა: „აი, ერთი „ბრწყინვალე მოვლენაც" ვიპოვეთ!..

ჩვენმა ნიკოლაძემაც უკიჟინა განსვენებულს პუბლიცისტს მეტის-მეტი პესსიმიზმი: არ ვიცი თქვენში როგორ არის საქმეო, აქ-კი, ჩვენში, ჩვენს ცხოველმყოფელ რიონის ხეობაში (ბ-ნი ნიკოლაძე მაშინ თავის მონრეპო-ჯიხაიშში ისვენებდა) ცხოვრება დუღს და გადმოდისო! არ ვიცი, რას გულისხმობდა ჩვენი პუბლიცისტი, მაგრამ იმისი ოპტიმიზმი მართალი იყო, რადგან ცხოვრების სიღრმეში მაშინაც დიადი მუშაობა იყო; ხალხის მუშაობა კულტურულ ნიადაგზე ერთ წუთსაც არ შეჩერებულა; დიადი ეკონომიური ევოლიუცია ნელ-ნელა არღვევდა ძველ შენობის საძირკველს და ჰქმნიდა ახალ ცხოვრების ძალებს. ეჭვი არა მაქვს, რომ შელგუნოვმაც იცოდა ეს, სწამდა მომავალი; მაგრამ იმის პესსიმიზმიც კანონიერი იყო, რადგან იმ დროის ცხოვრების ზედაპირი მეტად უნუგეშო რამ იყო, მეტად უფერული და აღმაშფოთებელი.

მას შემდეგ არ გაუვლია ათ წელიწადსაც და სურათი შეიცვალა: ცხოვრების სიღრმიდან ვულკანმა იფეთქა და დღეს ზედაპირიც შეიცვალა. რასაკვირველია, სასწაული არ მომხდარა, არამედ ისტორიულის პროცესის დაურღვეველ კანონების მოქმედებით მოხდა ყოველივე. არც შელგუნოვი ახსნიდა ამას სასწაულით და ამიტომ სრულიად კანონიერადაც უკუაგდებდა პესსიმიზმს და „ბრწყინვალე მოვლენათა" აღწერას შეუდგებოდა, დღემდის რომ ეცოცხლა...

დღეს ბევრია ამგვარ მოვლენათა რიცხვი! მართალია „ძველიც" ცოცხალია, მაგრამ „ახალმაც" თამამად შემოდგა ფეხი ცხოვრებაში და ბრძოლა აშკარად სწარმოებს, ჩვენ თვალწინ, ყველას გასაგებადა და დასანახავად...

პრესსა მოვალეა ამ ბრძოლაში მონაწილეობაც მიიღოს და ამასთანავე თვალ-ყური ადევნოს ბრძოლას, რათა მკითხველ საზოგადოებას გაუადვილოს იმის გაგება, თუ რა ხდება გარშემო. ჩვენი გაზეთიც, შეძლებისადაგვარად, ასრულებს ამ მოვალეობას, მაგრამ ჩემი თანამოკალმენი ძალაუნებურად მხოლოდ უფრო თვალსაჩინო, უფრო მსხვილ ფაქტებს აქცევენ ყურადღებას, მე-კი მსურს უფრო წვრილმანი და თანაც მნიშვნელოვანი გარემოებანი აღვნუსხო ხოლმე: ხშირად ასეთი წვრილმანები მშვენიერად ახასიათებენ ცხოვრებას და გვიადვილებენ დიად მოვლენათა გაგებას. შელგუნოვს „ბრწყინვალე მოვლენათა" მოძებნა უჭირდა და თავის წერილებს ბნელისა და უკუღმართის ფაქტების აღწერით ავსებდა; დღეს ეს საქმე უფრო გაადვილებულია: ბრწყინვალეც არის, მაგრამ ბნელიცა და უკუღმართი ფაქტებიც ბლომადაა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში; „ახალი და ძველი" ერთმანეთშია არეული და თუმცა „ახალი" იმარჯვებს, „ძველსაც" არ დაუმალავს ჯერ თავისი მჭრელი ბრჭყალები...

მაპატიოს მკითხველმა ეს „წინასიტყვაობა", უამისოდ არ მინდოდა დამეწყო ეს ჩემი დღიური...

ლასი

## პატარა ფელეტონი

### უცნაური მდგომარეობა

მეტად უცნაურ მდგომარეობაშია ჩვენის ქალაქის თვითმართველობა: შრომას ეწევა, ბლომა ფულს ხარჯავს სკოლებზე და მათ მასწავლებლებზე და იმდენი ძალა და მნიშვნელობა ვერ მოუპოვებია სასკოლო საქმეში, რომ სულ უბრალო, ელემენტარული უფლება განახორციელოს—დაითხოვოს მისგანვე დაქირავებული პირი, როცა იგი ვერ ასრულებს პირ-ნათლად თავის მოვალეობას.

ქალბატონ ჩიქოვანის ისტორია კარგად ახასიათებს ქალაქის ასეთ ახირებულ მდგომარეობას. ქ-ნ ჩიქოვანისამ არ აასრულა ქალაქის თავის მოთხოვნა, გამგეობამ დაითხოვა ურჩი მასწავლებელი და... ეს დათხოვნილი მასწავლებელი დღესაც მასწავლებლობს.

გვეგონა ამაზე შორს ვერ წავიდოდა ქალაქის ეს უცნაური მდგომარეობა, მაგრამ თურმე შემცდარი ვყოფილვართ: მეორე სკოლის გამგე—ქალბატონი შესტაკოვა იქამდე მივიდა, რომ სკოლის ნამდვილ პატრონს, ქალაქის თვითმმართველობას ჭკუას ასწავლის, პირ-და-პირ საყვედურს უცხადებს: 29 დეკემბერსა და 3 იანვარს ქალაქმა უფასო წარმოდგენები გაუმართა თავის სკოლებს. ქ-ნ შესტაკოვამ არ მოიყვანა თავისი მოსწავლეები და, როცა გამგეობა შეეკითხა მიზეზზე, პასუხად მთელი ნოტაცია მოუვიდა, რომელიც შემდეგის სიტყვებით თავდება: „გამართვა გასართობისა და დღესასწაულისა მოსწავლეთათვის, მათი შეკრება და წაყვანა სკოლიდან შესაძლებელია მხოლოდ უახლოესის სამოსწავლო უფროსის ნებართვით"-ო, ე. ი. თქვენ, ქალაქის არჩეულო პირები ვინა ერიხართ, რომ მე, თქვენგან დაქირავებულ მასწავლებელს, რამე მოთხოვოთო, ეს თქვენ კომპეტენციას სრულიად არ ეკუთვნისო.

სხვა, უფრო უარესი სული აქვს ქ-ნ შესტაკოვას წერილს: თითქმის სახელმწიფო ღალატს სწამებს ქალაქის გამგეობასა და ყველა იმ თავის ამხანაგებს, რომელნიც დაესწრნენ ქალაქის მიერ გამართულ წარმოდგენას.

„30 ათასი ახლობელი ჩვენი ხალხი უსწორო ბრძოლაში იქანცებოდა და იღუპოდა და გულ-მკვდარი ტყვედ მიდის, ჩვენ კი ბავშვები უნდა გავართოთ და სამხიარულოდ მივიწვიოთ?.. ეს კარგი არ არის. მოითმინეთ და ბავშვებს უთხარით: პატივი უნდა სცეთ უცხო ხალხის მწუხარებასაც, აქ კი ჩვენი ახლობლებია მწუხარებაში და ამიტომ უარი უნდა ვსთქვათ მხიარულებაზე. სასიხარულო დღე ჩვენის ღმერთის იესო ქრისტეს დაბადებისა აღვნიშნოთ ლოცვით, სასულიერო გალობით და კითხვით. წმინდა გულის პატრონი ბავშვები მიხვდებიან, რომ უადგილოა სიცილი იქ, სადაც ჩვენ ახლობლებს მწუხარება ეწვია".

გამოდის, რომ 18 სკოლის გამგეთა შორის მარტო ერთი შესტაკოვა აღმოჩნდა ისეთი, რომელიც სწუხს და გლოვობს რუსეთის მწუხარებას, დანარჩენები კი მხიარულობენ; მხიარულობს ქალაქის გამგეობაც და ქ-ნ შესტაკოვაც ამიტომ უკითხავს ამათ პოლიტიკურ ნოტაციას.

ქალაქის თვით-მმართველობა ვერ დასთმობს ასეთ შეურაცხყოფას და უთუოდ შესაფერი პასუხი უნდა გასცეს არა-მკითხე „დამრიგებელს".

ანტიპედაგოგიურ მხარეს შესტაკოვას წერილისას აქ არ ვეხებით.

ქ-ნ შესტაკოვისა ამბობს, რომ ვითომ მის წერილში გამოთქმული აზრები გადასცა მას სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა; მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია: არც ერთ სკოლის გამგეს არ მისვლია მსგავსი მოწერილობა და მარტო ქ-ნ შესტაკოვას რად აირჩევდა ბ. მზრუნველი, მარტო ერთის რად შეატყობინებდა თავის შეხედულებას, რომ სხვები უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებია. W.

## რუსეთის ქრონიკა

**მუშების გაფიცვა პეტერბურგში.** 5 იანვარს ადრე დილით, პუტილოვის ქარხანაში მოულოდნელად გაისმა ფაბრიკის სასტვენის ხმა. ქარხნის ადმინისტრაციას მოეხერხებია შეეგონებინა რამდენიმე კოჩეგარისათვის საორთქლე ქვაბების გაჩაღება. გაუშვეს ორთქლი; აინთო ელექტრონი. მრავალი მუშა მიდიოდა ქარხნისაკენ; მოვიდნენ სახელოსნოს უფროსები და ოსტატები. პალტო-გაუხდელად და ქუდებით დადგნენ მუშები თავიანთ დაზგებთან და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ უარი სთქვეს მუშაობაზე—ადმინისტრაციამ არ მიიღო ჩვენი მოთხოვნანი, ოთხ იანვარს წარდგენილიო. აიძულეს ცეცხლი ჩაექროთ და ყველა 13 ათასი მუშა წავიდა ქარხნიდან დინჯად და აუშფოთებლად. მომხმარებელთ საზოგადოების დუქნები ღია იყო და მუშებიც ყიდულობდნენ სანოვაგეს, როგორც ნისიად, ისე ნაღდადაც. საღამოს ექვს საათზე პუტილოვის ქარხნის გამგეობაში მივიდნენ, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდათ, მუშების დეპუტატები მამა გიორგი გაპონის მეთაურობით. მამა გაპონმა იკისრა წარედგინა გამგეობისათვის ის მოხსენებანი, რომელიც არ მიიღო დირექტორმა სმირნოვმა; ასეთი იყო საერთო სურვილი პუტილოვის ქარხნის მუშებისა და „ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კავშირი"-ს წევრებისა. მოლაპარაკების დროს გამგეობის დირექტორმა შესტაკოვმა იკითხა—აქამდი რად არ იჩივლეთ უსამართლობაზეო. დეპუტატებმა უპასუხეს, რომ ყველა მათი საჩივარი უნაყოფო იყო და დამნაშავენი დაუსჯელი რჩებოდნენო; დაჩაგრულ მუშას არ შეუძლია მფარველი იშოვოს ადმინისტრაციის პირებ შორისო. შემდეგ დეპუტატებმა აუხსნეს გამგეობას, ნაკეთების დაფასება მუშების წარმომადგენელებთან ერთად ორივე მხრისათვის სასარგებლო იქნება, საქმე თანაბრად განაწილდება მუშებს შორის, საქმით ყელამდე ავსილი და სრულიად უსაქმურად დარჩენილი აღარ იქნებაო და სხვა. დირექტორი შესტაკოვი, როგორც სჩანდა, თანახმა გახდა დეპუტაციის მოსაზრებისა, და იმედი იყო, რომ შეთანხმება მოხდებოდა, მაგრამ ამ დროს მეორე დირექტორმა ნერატოვმა სთქვა, რომ ეს საკითხი აქციონერების კრებამ უნდა გადასწყვიტოსო. ბოლოს შესტაკოვმა გამოუცხადა დეპუტაციას, რომ ზოგი მოთხოვნა, მაგალითად, 8 საათის სამუშაო დღე, ფინანსთა მინისტრისაგან არის დამოკიდებულიო, ზოგი, მაგ. დაფასების ახალი წესი და ქირის მომატება, აქციონერების საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და ეს კრება კი ერთ თვეზე ადრე ვერ მოხდებაო. რაც შეეხება იმ ღონისძიებათ, რომელთა მიღება თვით გამგეობას შეუძლია, ეხლა გადაწყვეტილ პასუხს ვერ მოგცემთ, მაგრამ დაუყოვნებლივ შევუდგებით მუშების საჩივრების განხილვას და ჩვენს გადაწყვეტილებას უახლოეს დროში შეგატყობინებთო. დეპუტაცია ვერ დაკმაყოფილდა გამგეობის პასუხით. მომხმარებელი დუქნები ღია დარჩება, მაგრამ სანოვაგეს ნისიად აღარ მისცემენ მუშებს.

„ფრანგ-რუსთა საზოგადოების" მუშათა გაფიცვა მეორე დღესაც მშვიდობიანი იყო. 5 იანვარს საღამოს 9 საათზე ქარხანაში მივიდნენ მუშების დეპუტატები, მაგრამ დირექტორმა არ ინება მათი მიღება—ეს დეპუტატები რატომ თვითონ ქარხანაში არ აირჩიეს მუშებმაო. 4 იანვარს შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს მუშებმა ქარხნის ადმინისტრაციას:

1. ქარხნის ადმინისტრაცია გულ-ახდილად, პირდაპირ უნდა ზრუნავდეს მუშის საჭიროებაზე და არ კმაყოფილდებოდეს მარტო დაპირებით, რომელიც არასოდეს არ სრულდება.
2. გაფიცვის მიზეზების გამოსაკვლევად უნდა შესდგეს თათბირი მუშების მიერ არჩეულ დეპუტატებისა და ქარხნის წარმომადგენლებისა; ამ თათბირში მუშებსაც იმდენივე ხმა უნდა ჰქონდეთ, რამდენიც ქარხნის წარმომადგენლებს.
3. დეპუტაციის წევრებს ხელი არავინ უნდა ახლოს და ვერც ქარხნიდან დაითხოვენ.
4. საერთო გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იქნეს და გაკრული სახელოსნოებში, ადმინისტრაციისა და უფროს საქარხნო ინსპექტორის ხელმოწერილი.
5. გაფიცვის გამო არავინ არ უნდა დაისაჯოს.
6. გაფიცვის დრო დაკარგულად არ უნდა ჩაეთვალოს მუშებს და უნდა მიიღონ საშუალო ქირა.

ამის საპასუხოდ ადმინისტრაციამ გააკრა შემდეგი განცხადება: მუშების საჭიროებათა გამოსაკვლევად ადმინისტრაცია თანახმაა მოლაპარაკება გაჰმართოს დეპუტატებთან, რომელთაც საგანგებოდ აირჩევს ქარხნის მუშები; ამასთან პირველი ხუთი პუნქტი მუშების მოთხოვნისა პრინციპიალურად მიღებულია; რაც შეეხება მეექვსე პუნქტს, იგი კომისიამ უნდა განიხილოს. მუშებს იწვევდნენ—5 იანვარს დილით შეკრებილიყვნენ მუშები თავიანთ სახელოსნოებში და აერჩიათ 8 კაცი. 5 იანვარს მუშებმა წარმოადგინეს შემდეგი ახალი მოთხოვნანი:

1. მოსპობა დანიშნულ დროს გარეთ მუშაობისა.
2. მოსპობა მუშების გაჩხრეკისა.
3. მოსპობა ჯარიმებისა გაშვებულ დღეებისათვის, თუ სამ დღეზე მეტი არ ყოფილა
4. ავადმყოფ მუშების ნახევარ დღის ქირა; თუ ქარხანაში დასახიჩრებულია, სრული ქირა.
5. წამლობა მუშებისა და მათ ოჯახის წევრებისა ქარხნის ხარჯზე.

დასასრულ მუშები თხოულობენ ერთის ოსტატის გაგდებას და რამდენიმესთვის საყვედურის გამოცხადებას.

5 იანვარს გაიფიცნენ ნევის საზოგადოების გემთ-საშენებელის მუშები. მუშებმა (რვა ათასზე მეტმა) დილიდანვე მშვიდობიანად დაანებეს თავი მუშაობას. ამათაც წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნანი ქარხნის ადმინისტრაციას; ეს მოთხოვნანი ისეთივეა,

როგორც პუტილოვის ქარხნის მუშებისა. ამავე დღეს გაიფიცნენ შტიგლიცის საქსოვ ქარხნის მუშებიც. აქ 8 ათასამდეა მუშა. გაიფიცნენ აგრეთვე ეკატერინჰოფის საქსოვ ქარხნის მუშებიც.

◆ „ნაში დნი“-ს ატყობინებენ კიევიდან: ხმოსანმა იასნოგურსკიმ ქალაქის თავს წარუდგინა განცხადება, რომელშიაც წინადადებას აძლევს საბჭოს აღძრას შუამდგომლობა იაპონიასთან ზავის ჩამოგდებაზე. „უკანასკნელ დროს საზოგადოებამ მაღლა გამოსთქვა თავისი სურვილი მშვიდობიანობის ჩამოგდებისა, თუმცა ბევრი წინააღმდეგიც იქნება ამისი. რუსეთის გული—მოსკოვი პირველი გვიწვევს ამ სასიკეთო აზრისაკენ და აქცევს ჩვენ ყურადღებას უსამართლობას. ამბობენ, ვითომ ეხლა ზავის ჩამოგდება სახელის გატეხა იქნება ჩვენთვისო, მაგრამ ეს მეტად შემცდარი შეხედულებაა; იგი ამტკიცებს ჩვენ მამულის-შვილურ გრძნობის სისუსტეს. ზავი ყოველთვის საპატიოა; უპატიოსნო მშვიდობიანობა შეუძლებელია, მით უფრო რუსეთისათვის, რომლის გმირობა მთელმა ქვეყანამ აღიარა. მაშასადამე, ახალი მსხვერპლები ვერავითარ სახელს ვერ შესძენს მებრძოლთ. მოსკოვის მაგალითისამებრ, იქნება ჩვენმა საბჭომაც ისურვოს კანონიერის გზით, შინაგან საქმეთა მინისტრის საშუალებით, წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი ჩვენი თხოვნა ამ გულსაკლავ საკითხის გამო“.

## თეატრი

**ქუთაისი.** 9 იანვარს დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ხელმეორედ დრამა „კაი გრაკხი“. ვ. ს. მესხიშვილი ხელის ტკენის შემდეგ პირველად გამოვიდა სცენაზედ. ერთის მხრივ, უთუოდ ეს გარემოება და მეორეს—პიესის შინაარსი იყო მიზეზი, რომ წარმოდგენაზე დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და, როგორც ზევით, ისე ქვევით გაიჭედა თეატრი. სხვაგან რომ ადგილი ვერ იშოვნეს, რკინის გზის მუშებმა ლიტერის ლოჟა დაიჭირეს და ოცამდე კაცი მოთავსდა შიგ. თამაშობის მხრივ წარმოდგენას ნაკლულევანება ეხლაც საკმაოდ ემჩნეოდა, მაგრამ უმთავრეს ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს მსახიობთა მიერ როლების უცოდინარობა. ეს ჩვეულებრივი სენი, საუბედუროდ, თითქმის ყველას ემჩნეოდა, თუმცა ზოგიერთს მეტად,—რის გამო, ღმერთმან უწყის, ხანდისხან როგორ ამახინჯებდნენ წინადადების აზრს. მიუხედავად ამისა, პიესამ ამ საღამოს უფრო მწყობრად ჩაიარა, ვიდრე პირველ წარმოდგენის დროს. საზოგადოება იმდენად გაიტაცა პიესის შინაარსმა, რომ თამაშობის მხრივ ნაკლულევანებას ვერც-კი ამჩნევდა და აღტაცებულ ტაშის ცემისა, „ვაშა“-„ვაშა“-ს, ან „ძირს“-ის ძახილით ეგებებოდა საგულისხმიერო წინადადებებს: მეტად გრძნობიერად თამაშობდა კაიუს გრაკხის როლს ბ-ნი მესხიშვილი; მშვენიერი იყო განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში. ეხლაც კარგი მარკუს ფულვიუსი იყო ბ-ნი გამყრელიძე, მხოლოდ მესამე მოქმედებაში სცენიდან გასვლის დროს მისი გაქცევა კი უადგილო იყო. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ როლების უცოდინარობასთან ჩვენს მსახიობებს ერთი საზოგადო სენიცა სჭირთ: სცენიდან გასვლის დროს, თუ კი საზოგადოებას ზურგი შეაქციეს და თვალი მოაშორეს, ასე ჰგონიათ ვეღარც საზოგადოება გვხედავსო, და უსათუოდ უნდა გაიქცნენ.

13 იანვარს ქუთათურ დრამატიულ დასის მიერ მსახიობის ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ბიერნსტენ-ბიერნსონის ხუთმოქმედებიანი დრამა „გაკოტრება“, თარგ. თავ. შალვა დადიანის მიერ. ეს პიესა პირველად იდგმება ქართულ სცენაზე. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ვ. მესხიშვილიც.

**დონ-ვალიანი**

## საზღვარ-გარედ

**ვენა.** ახალ დანიშნულმა მინისტრ-პრეზიდენტმა ჰაუჩმა უკვე ისახელა თავი, უკვე გამოიჩინა დიპლომატ-პოლიტიკოსის უნარი. იგი დასების განურჩევლად, ყველას უღიმის, ყველას შემწეობა-დახმარებას ჰპირდება. ამის გამო ამ ჟამად ისეთებმაც წამოჰყვეს თავი, რომელნიც წინად წუნარად იყვნენ და დიდი იმედები არ უღვივოდათ გულში. იმას წინად ვენის ერთმა გაზეთმა წერილი მოათავსა თავის ფურცლებზე ძველ დროიდან დარჩენილ ჩვეულების წინააღმდეგ, რომლითაც ქუჩაში ყველა მოვალეა წმინდა ნაწილების დამტარებელ მღვდლის წინაშე ქუდი მოიხადოს. ეს დაკანონებული ჩვეულება მეტად ძვირად დაუჯდა ერთ უცხოელ ჰოლანდიელს, რომელმაც არ იცოდა ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი, ქუდი არ მოიხადა მღვდლის წინაშე, პასუხის გებაში იქ'ა მიცემული და სატუსაღოში ამოჰყო თავი. სამღვდელოების მომხრე ჟურნალ-გაზეთებმა ერთი ალიაქოთი და ვაი-უშველებელი ასტეხეს, როცა რადიკალურმა გაზეთმა ამ ჩვეულების წინააღმდეგ წერილი დასტამბა. „ქრისტეს რჯულის“ ვითომ და მქადაგებლებმა ძალადობის სიყვარულით აღსავსე თვალნი მიაპყრეს მთავრობას და სთხოვდნენ, დაუყოვნებლივ ალაგმეთ ეს ჩვენი დამღუპველი ორგანოებიო. „სად არის კანონი, რას შვრება ადმინისტრაცია“, ღაღადებდნენ ვენის სამღვდელოების ორგანოები: „რად არ სდევნიან ისინი ჩვენ მოძულეთ?“ სამღვდელოების მედგარმა და მჭახე ხმამ შიშის ზარი დასცა მთავრობას. პროკურორა ბობიესი, რომლის ნებართვით დაიბეჭდა ძველი ჩვეულების წინააღმდეგ მიმართული წერილი, დაუყოვნებლივ გადააყენეს სამსახურიდან. სამღვდელოებამ დიდი კრებები გამართა, დიდი ხმაურობა ასტეხა ხალხის ასაღელვებლად; ხმამაღლა გაიძახოდა—ჩვენი დაღუპვა მოიწადინეს, ჩვენს მტრებს უნდათ ძირიან-ფესვიანად ამოაგდონ სარწმუნოებაო. დაიძრნენ სასახლეში წარჩინებულნი გვამნი—სამღვდელოების მუდმივი მომხრენი—გრაფები, ბარონები და თავადები, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ სამღვდელოებას, რადგან უკანასკნელი აჯერებს ხალხს, წარჩინებულობა ღვთისაგანაა დაწესებული, სიკვდილის დღემდის ემსახურეთ თავადებს, გრაფებს და ბარონებს და ჯილდო ამ სოფლით გასვლა რომ გახვალთ, იქ, სასუფეველში მოგენიჭებათო. წარჩინებულებმა კარგად იციან, რომ, როცა ადამიანს გონებას დაუბნელებ, იგი სულით და ხორცით გეკუთვნება, შენი მონა-მორჩილი გახდება, ამიტომ დიდ პატივსა სცემენ სამღვდელოებას. ეხლაც არისტოკრატები გამოესარჩლნენ სამღვდელოებას და იმდენად ძალა დაატანეს ახალ მინისტრ-პრეზიდენტს ჰაუჩს, რომ მან დახმარება აღუთქვა სამღვდელოების წინააღმდეგ პრესსის „ასალაგმავად“.

**ლონდონი.** ლონდონიდან სწერენ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს, რომ იქ ამას წინად მოვიდა ერთი განათლებული ჩინელი სუნ-ია-ტსენი, რეფორმების მომხრე და ამიტომ ჩინელის მთავრობისაგან ათვალწუნებული სუნ-ია-ტსენი ლონდონში გადასახლდა და აქ ქუჩაში, დაუფარავად, ორატორობდა და უხატავდა შეკრებილ ხალხს ჩინეთის ნამდვილ მდგომარეობას და ჩინეთის მთავრობის ძალ-მომრეობას. ინგლისში ყველას აქვს ნება ქუჩაში სიტყვების წარმოთქმისა და ამ ჩინელსაც არ უშლიდნენ, რასაკვირველია მაგრამ ლონდონში მეოფმა ჩინეთის საელჩომ სხვანაირად შეხედა სუნ-ია-ტსენის მოღვაწეობას. ჩინეთის ელჩმა მეტად შეიძულა ახალგაზდა რეფორმატორი და შემდეგ ღონე იხმარა იმის თავიდან მოსაცილებლად. ერთხელ, როცა სუნ-ია-ტსენი ჩინეთის საელჩოს სიახლოვეს მიდიოდა, საელჩოს კარებიდან უეცრად გამოვარდა ორი მკლავ მაგარი ჩინელი, წაავლეს ხელი სუნ-ია-ტსენსა და საელჩოში შეათრიეს. ეს ამბავი ადგილობრივმა პოლიციამ შეიტყო. ჩინეთის ელჩს ეწვია იმ უბნის ბოქაული და გამოუცხადა, დაუყოვნებლივ უნდა გაანთავისუფლოთ თქვენ მიერ დატყვევებული ჩინელიო. ბევრს ეცადა ელჩი დაემტკიცებია ინგლისელ პოლიციელისათვის, რომ ჩინეთის საელჩო მიუკარებელი დაწესებულებაა ინგლისის პოლიციისათვის, ბევრი სიტყვები დახარჯა უნაყოფოდ. პოლიციის მოხელემ გადაჭრით უთხრა: თქვენი საელჩო ინგლისის ნიადაგზე დგას და ინგლისის ნიადაგზე-კი არა გაქვთ უფლება დააპატიმროთ ჩინეთის ქვეშევრდომიო. ამაზე ელჩმა უპასუხა, განკარგულება მომივიდა ჩემი მთავრობისაგანაო. მე ჩემ მთავრობას ვემორჩილები, რომელიც აქ, ლონდონშია, და არა ცხრა მთას გადაღმაო, უპასუხა პოლიციის მოხელემ და საბოლოოდ უთხრა ელჩს: ნებით თუ არ განთავისუფლებთ, ძალით გაგანთავისუფლებ სუნ-ია-ტსენსო. ამ სიტყვების შემდეგ ელჩმა ბრძანება გასცა განთავისუფლებინა ახალგაზდა ჩინელი.

## წერილები

**ს. ძველი გავაზი** (კახეთი). შარშან აქ ადგილობრივ ინტელიგენციის წყალობით დაარსდა სამკითხველო, რაც ძლიერ იშვიათია კახეთის სოფლებში.

26 დეკემბერს ღამე ამ სოფელში საზიზღარი მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს ცოლ-ქმარი ამავე სოფლის მცხოვრებნი არსენა გაიკაშვილი და იმისი ცოლი სოფიო. ესენი შეძლებულებად ითვლებოდნენ სოფელში. უბედურ ღამეს ცოლ-ქმარის გარდა შინ არავინ ყოფილა. მოჯამაგირეც თავისას სახლში წასულიყო. მეორე დღეს რომ მისულა, შეუღია კარები და შემაძრწუნებელი სანახავი დაჰხვედრია: გაიკაშვილი ფილაქანზე ეგდო მკვდარი. თავი სულ მოეშორებინათ ტანისათვის, მარტო ყანყრატო-ღა შეენარჩუნებინათ, მკლავში დაეჭრათ, ძვალი მოეშორებინათ ბარძაყის ზემოდ და ერთ სხვა ადგილას. ხოლო მისი ცოლი, ისიც რამდენიმე ალაგას დაჭრილი, ლოგინზედ უსულოდ ყოფილა გადაშხლართული. იქაურობა სულ აეწეწ-დაეწეწნათ. წაუღიათ რამე თუ არა, არ იციან. როგორც ეტყობა, ორივენი საშინლად უწვალებიათ ბოროტმომქმედთ. ქალი ფეხმძიმედ ყოფილა. შეშინებული მოსამსახურე საჩქაროდ გაბრუნებულა და გამოუცხადებია მამასახლისისთვის. ამის თაობაზე შეიპყრეს ორი ლეკი და ორი ქართველი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს.

**ვან—ილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 11 იანვარი 1905 წ.**

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. ტ. | 94,10 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 45,02 1/2 |
| პარიზისაზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,80 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,72 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 6,7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 88 1/8 |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — |
| 4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 86 |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 396 |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 319 |
| 5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან. | 263 |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 4 1/2% ობლ. იმავე საზოგად. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| 4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 223 |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

**ოფხანაურის ამერიკულ ვაზის სანერგე**
**მ. ა. ანანოვისა**
იყიდება ამერიკული ვაზები Riparia და Rupestris, აგრეთვე დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები.
ადრესი: „Ст. Ріонъ З. Ж. Д.“. პირველ დეკემბრიდან: მიხრან ალექსანდრეს ძე **ანანოვს.**
(12—395—5)



**СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.**
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრნიეს ახლოს. (წ.—176—101)

მაღაზია ტფილისში
**კ. დ. კოზახიძისა**
(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).
მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეო, მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (6.—20—17)

**აფთიაქის მაღაზია ყვირილაში ა. ლ. მაღრაძისა.**
1904 წლის პირველი დეკემბრიდან დაბა **ყვირილაში** გაიხსნა **აფთიაქის მაღაზია,** სადაც იყიდება ყოველგვარი წამლები და კოსმეტიური საქონელი.
**ადრესი:** დაბა ყვირილა. აფთიაქის მაღაზიაში ანთიმოზ ლუკასძე მაღრაძეს.
Адресъ: Въ Квирилы. Аптекарскій магазинъ Антимосу Лукичу Маградзе.
(10—413—7)

**საფაბრიკო საწყობი**
**ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა**
**გ. ი. პალლიზენ**
**რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების**
**ტფილისი,** გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. **ტელეფონი № 680** (0—197)

**გენერალნოე ობშჩესტვო**
(Генеральное общество)
**სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა**
აძლევს დამზღვევთ:
1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კანტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევი საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვეველობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...
საზოგადოების **გამგეობა** ბმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23 **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ. ოჰლოევის სახლი, ტელეფონი № 429.
**აგენტები** არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—59)

ნამდვილი ცელულარული
◆ **თესლი აბრეშუმისა** ◆
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
**ა. კ. ზახარიადისა.**
ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პასკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსრველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—4)

**გამოვიდა ქართული წიგნების გამავრცელებელის**
**„კავშირის“**
**განმარტებითი წიგნაკსი (კატალოგი),**
ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს წიგნების გავრცელებაში, დაეთმობა ჩვენის გაგზავნით 30% და თუ თითონ წაიღებენ—40% მიმართეთ „კავშირის“ მოთავეს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს (г. Тифлисъ, Туман. пер. 38). 30%-ის დაკლებითვე „კავშირის“ წიგნები გაიყიდება აგრეთვე მიხეილ ცაგარლის მაღაზიაში (წიგნების იარმურკაზე), ხოლო კვირაობით—40% დაკლებით.
(5—398—5)

**ქუთაისში**
სამ. ბ. თოფურიას
**სამკურნალო,**
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
**ი. ნ. სვანიძე.**
მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ.სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—12)

«[illegible]ივ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
**კიოსკში**
ლორის-მელივის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბანანაზი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელო, მოთხრობა—მელანიასი | — | 20 |
| ალ. ყაზბეგის I, ტომი | 1 | 50 |
| II და III ტომი თითო | 1 | — |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივ II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |
| ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა | — | 1 |

Доз. ценз. Тифлисъ, 12 января 1905 г.
Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.